პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 134 (6189)

11

1978 წ. ივლისი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## [illegible]

### სსრ კავშირის ჩემპიონატი

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა ძალზე კარგად ჩაატარეს 9 ივლისის მატჩი ვოროშილოვგრადის „ზარიასთან" და გაიმარჯვეს 4:1. შეხვედრის ოცდამეათე წუთზე სტუმართა კარში ეფექტური გოლი გაიტანა ახალგაზრდა დინამოელმა ფორვარდმა რ. შენგელიამ.

სურათზე: რ. შენგელიამ ოსტატურად მოატყუა მეტოქის მცველი და ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა.

ა. კოტორაშვილის ფოტო.



სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა — ჩვენი მთავარი მიზანი



# გამოგაჩინოს საქმემან შენმა

როცა მეხიკოში ჟურნალისტებმა ვიქტორ სანეევისთვის უკითხავთ — შეჯიბრებისთვის ვინ გამზადებდათო, ოლიმპიური თამაშების ახალ ჩემპიონს პირველად სოხუმის მეორე საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი იაკობ კერსელიანი დაუსახელებია და ეს ბუნებრივიც იყო, რადგან პირველმა სწორედ იაკობმა აღმოაჩინა მეოთხეკლასელი ბიჭი, თავის ტოლებზე უჩვეულოდ შორს რომ ხტებოდა და მანვე შეაყვარა ის დიადი, მიმზიდველი და საოცრად საინტერესო სამყარო, რომელსაც სპორტი ჰქვია.

ნამდვილ სპორტსმენს არასოდეს დაავიწყდება თავისი პირველი მწვრთნელი, მუდამ ეხსომება მისი რჩევა-დარიგება, სითბო და სიყვარული, რადგან ადამიანებს სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მიჰყვებათ პირველად გადადგმული ნაბიჯებისა და ბავშვობის ნეტარი დღეების ხსოვნა.

საქართველოში დღესაც ბევრია ისეთი მწვრთნელი, რომელსაც სიამაყით გაიხსენებენ მომავლის სპორტსმენები, ჯერჯერობით კი ისინი ჩრდილში არიან და თავის საქმეზე შეყვარებულნი თავდაუზოგავად ემსახურებიან ქართული სპორტის შემდგომი აღმავლობის საქმეს. მუდამ რაღაცას ეძებენ, ფიქრობენ, თუკი ნიჭიერ ბავშვს გადააწყდნენ სადმე, ძილი უკრთებათ, მადა ეკარგებათ და მანამ არ მოისვენებენ, სანამ იმ ბიჭისა თუ გოგონას მშობლებს არ დაითანხმებენ, სანამ „მომავალ ჩემპიონს" თავისად არ დაიგულებენ.

ხშირად გვესმის — რაიონებში მომუშავე მწვრთნელები დიდ სპორტს მზამზარეულ ჩემპიონებს ვერ მისცემენო და ეს აზრი სიმართლეს როდია მოკლებული — მსოფლიო მნიშვნელობის მიღწევის მოსაპოვებლად მარტო ტალანტი და შრომისმოყვარეობა არ კმარა, ამისათვის საჭიროა განსაკუთრებული სპეციალურად შემუშავებული საწვრთნო სისტემა, რომელიც მკვიდრად უნდა ეყრდნობოდეს მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს. მომავალში ამის შესაძლებლობა ალბათ რესპუბლიკის პერიფერიებშიც შეიქმნება, ახლა კი იქაური მწვრთნელები, ერთგვარად ოქროსმაძიებლებს გვაგონებენ, ქართული სპორტის გასამდიდრებლად თავდაუზოგავად რომ ეძებენ ძვირფას მადანს.

სპორტსმენთა ძირითადი ნაკადი, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს ავსებს, ბუნებრივია სწორედ რაიონებიდან მოედინება და ამიტომ საჭიროა ყურადღება და მზრუნველობა არ მოვაკლოთ იქ მომუშავე მწვრთნელებს.

ჩვენს რესპუბლიკაში ძალოსნობის მწვრთნელები ისედაც თითზე ჩამოსათვლელნი არიან და მათგან ხუთიოდეს თუ დავასახელებთ, ვისაც საქართველოს ნაკრები გუნდისთვის მოუმზადებია სპორტსმენი, მათ შორის არის ზუგდიდელი ჯ. მამფორია, რომლის აღზრდილი ვ. ბალათურია ჩვენი რესპუბლიკის სახელს გაისად, საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე დაიცავს. უნდა ითქვას, რომ ზუგდიდელ ძალოსნებს ჯერჯერობით სავარჯიშო დარბაზი არა აქვთ — ჯერ ცენტრალური სტადიონის ტრიბუნებქვეშ უხდებოდათ წვრთნა, მერე კი ტურბაზას შეეკედლნენ.

მაღალკვალიფიციური სპორტსმენების მოსამზადებლად ჯერჯე-

(დასასრული მე-2 გვ.).

## დღეს სპორტის სასახლეში

იწყება ამხანაგური შეხვედრა მხატვრულ ტანვარჯიშში უზბეკეთისა და საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებს შორის. ორდღიანი მატჩი, რომელიც 17 საათზე დაიწყება, გარკვეულ ინტერესს იწვევს. საქმე ის არის, რომ რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდი ტაშკენტის საკავშირო სპარტაკიადისთვის ემზადება და თბილისის ასპარეზობა ძალების შემოწმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია. სპორტის მოყვარულები

### ტანვარჯიში

სასახლის სარბიელზე რესპუბლიკის საუკეთესო ტანმოვარჯიშეებს იხილავენ: მარინე ხალილოვას, ირინე ყემჩუყინას, ბელა სისაურს, მარინე ნადიბაიძეს, ქეთინო კუპავას, ინგა საიკაშვილს, მარინე გუნიას, მარინე ბაბიჩს.

ო. ყიფშიძე.

### ფრენბურთი

რიგაში სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა დამაჯერებლად მოუგო საერთაშორისო მატჩი იაპონიის გუნდს — 3:0 (15:3, 15:12, 15:5).

### გამარჯვება ორივე შეხვედრაში

მეორე შეხვედრაშიც სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა გუნდმა სძლია იაპონიის ეროვნულ გუნდს, ოღონდ ამჯერად დაძაბულ ბრძოლაში — 3:2 (15:5, 15:7, 10:15, 11:15, 15:10).

### [illegible]

მოსკოვის სპორტული კლუბებისა და ფიზკულტურული კოლექტივების მძლეოსანთა შეჯიბრებაში ბ. ზაიჩუკმა ურო 80 მეტრსა და 14 სანტიმეტრზე ტყორცნა. იგი პირველი სპორტსმენია მსოფლიოში, რომელმაც 80 მეტრიანი ზღვარი გადალახა. მისი მაჩვენებელი 84 სანტიმეტრით აღემატება ჯ. შმიდტის (გფრ) თითქმის 3 წლის უკან დამყარებულ მსოფლიო რეკორდსა და 1,28 მეტრით სჯობს კიეველი ი. სედიხის საკავშირო მიღწევას.

აშშ-ის ქალაქ ბერკლის სტადიონზე გამართულ „გიგანტების" მე-16-ე მატჩში საბჭოთა სპორტსმენმა ვ. მიასნიკოვმა 110 მეტრზე თარჯრბენში სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა — 13,47 და პირველი ადგილი მოიპოვა.

მატჩი მოიგეს ამერიკელებმა 190:177. სსრ კავშირისა და აშშ-ის ქალთა გუნდების შეხვედრა საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობით აღინიშნა — 75:71.

### ცურვა

მოსკოვში მოცურავეთა 47-ე საკავშირო ჩემპიონატზე კიდევ რამდენიმე სახეობაში გამოვლინდნენ ჩემპიონები. 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში გაიმარჯვა ლენინგრადელმა ვ. კუზნეცოვმა 57,80. ეს სსრ კავშირის ახალი რეკორდია და მიმდინარე სეზონის საუკეთესო შედეგი მსოფლიოში. ამავე სახეობაში ქალთა შორის გაიმარჯვა მ. კრუგლოვამ 1.05,89. ლენინგრადელმა ს. კოპლიაკოვმა მოიგო 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა — 1.51,42. ამავე სახეობაში ქალთა შორის გაიმარჯვა მისმა თანაქალაქელმა ი. აქსიონოვამ — 2.03,55. 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში გაიმარჯვა მოსკოველმა ა. გრიშჩენკოვამ 2.17,25. ვაჟთა შორის კი გაიმარჯვა ლენინგრადელმა მ. გორელიკმა 2.00,95. თავისუფალი სტილით 4×100 მ. ცურვაში პირველი იყო მოსკოვის გუნდი (რ. ცარიოვა, ო. კლევაკინა, ს. იაკოვლევა, მ. კლუჩნიკოვა) — 3.56,44, ხოლო ვაჟთა შორის გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა (ა. კრილოვი, ს. კოპლიაკოვი, ს. ლაბზო, ა. ავტუშენკო) — 3.31,98.





სპორტული დიდებისაკენ მიმავალი გზა ია-ვარდებით მოფენილი როდია. ყოველ წარმატებას, დიდი იქნება ეს თუ პატარა, მომქანცველი წვრთნა-ვარჯიში, ფიქრი და განსჯა ახლავს თან, მაგრამ თუ სულით ხორცამდე შეიყვარებ იმ საქმეს, რისთვისაც მოწოდებული ხარ და არჩეულ გზას ბოლომდე არ უღალატებ, ადრე თუ გვიან გამარჯვება უთუოდ არ დააყოვნებს და ერთგულება ერთიორად დაგიფასდება.

ამჯერადაც ასე მოხდა; ქართველმა ხელბურთელებმა წარმატებით განვლეს საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების რთული და მომქანცველი მარათონი და ამ ხანუკვარი ჭილდოს მოპოვებით კიდევ ერთი ლამაზი ფურცელი ჩაწერეს ქართული სპორტის ისტორიაში.

... და აი, გამარჯვებით გამოწვეული სიხარული „დინამოს" სტადიონზე გრძელდება — „ბროლის ბიჭები", მრავალათასიან გულშემატკივართა ტაშის გრიალში საპატიო წრეს უვლიან სტადიონს.

მარჯვენა სურათზე კი „დინამოს" ჭაბუკი კალათბურთელები და მათი მწვრთნელებია აღბეჭდილი. ისინი წარმატებით გამოვიდნენ „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე და ზედიზედ მეშვიდედ მოიპოვეს ამ ტურნირში გამარჯვებულის სახელი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.



# ქართული აკრობატიკის პიონერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**როცა** საქართველოში აკრობატიკის განვითარების ისტორიაზე და, საერთოდ, აკრობატიკის ქართულ სკოლაზე ჩამოვარდება საუბარი, მიხეილ ქელეხსაშვილის სახელი, როგორც წესი, განსაკუთრებული პატივისცემითა და ყურადღებით სარგებლობს. და ეს შემთხვევითი როდია — სწორედ მიხეილი იყო ქართული საბჭოთა აკრობატიკის პიონერი, შემდეგ კი ათეული წლების მანძილზე „შესანიშნავ ოთხეულს", რომელსაც თვითონ ედგა ბურჯად, ზერთული ილეთებითა და მახვილგონივრული კომბინაციებით ალტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი...

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 17 წლის გორელი ჭაბუკი თბილისში ჩამოვიდა და სასწავლებელს მიაშურა. შემდეგ ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა. ამავე დროს გატაცებით ვარჯიშობდა აკრობატიკაში და რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის საუკეთესო წარმომადგენლად ითვლებოდა.

1939 წელს მოსკოვში ჩატარდა ჩვენი ქვეყნის პირველი ჩემპიონატი აკრობატიკაში. ოთხეულთა ვარჯიშში უძლიერესნი იყვნენ საქართველოს წარმომადგენლები: მ. ქელეხსაშვილი, ფ. ემელიანოვი, ტ. მაყაშვილი და კ. ვართანოვი. მეორე ჩემპიონატი უკვე თბილისში ჩატარდა. საქართველოს კვარტეტმა მშობლიურ ქალაქშიც გამოიჩინა თავი და ჯგუფურ ვარჯიშებში პირველობა არავის დაუთმო.

დიდი სამამულო ომის დაწყებასთან დაკავშირებით აკრობატთა საკავშირო ჩემპიონატები 1948 წლამდე არ ჩატარებულა.

ამ წლიწადს მ. ქელეხსაშვილი უკვე მწვრთნელის როლში მოგვევლინა. დებიუტი წარმატებით დაგვირგვინდა. ოთხეული, რომელსაც მიხეილი ხელმძღვანელობდა, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა. მის აღსაზრდელებს არც შემდგომში შეურცხვენიათ თავი. ბევრი მათგანი გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ბევრმა გაიმარჯვა სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოს პირველობებში. მ. ქელეხსაშვილის მოწაფეებიდან ორმოცმა დაიმსახურა სპორტის ოსტატის საპატიო წოდება. შრომაც დაუფასეს, 1958 წელს მიხეილს საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა. ჯილდოების, მედლებისა და სიგელების ჩამოთვლა, რაც ამ შრომისმოყვარე და დაუღალავ მწვრთნელსა და პედაგოგს მიუღია, შორს წაგვიყვანდა.

...აგერ უკვე ოთხი ათეული წელიწადია მიხეილ ქელეხსაშვილი უანგაროდ და ერთგულად ემსახურება ქართული აკრობატიკის განვითარებას. მართალია, უკვე 60 წლის ზღურბლს გადააბიჯა, მაგრამ კვლავაც ახალგაზრდული ენერგიით უზიარებს ნორჩებს მდიდარ ცოდნასა და გამოცდილებას. მ. ქელეხსაშვილი ამჟამად საქართველოს აკრობატთა ნაკრებს ხელმძღვანელობს და ახალი სპორტული სიმაღლეების დასაპყრობად ამზადებს ბიჭებს.

**მარინე ბაბუნაშვილი.**

* * *

**სურათზე:** მ. ქელეხსაშვილი აღსაზრდელებთან ერთად.

●

**აკრობატიკის** განვითარების საქმეში გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის, დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით მ. ქელეხსაშვილი დაჯილდოვდა რესპუბლიკის სპორტკომიტეტის საპატიო სიგელით.

# გამოგაჩინოს საქმემან შენმა

დასასრული

რობით არც ცხინვალელ ძალოსნებს გააჩნიათ იდეალური პირობები, არადა იქაურმა ძალოსნებმა — გ. კოჩიევმა, ფ. გაბარაევმა, ვ. კოჩიევმა და სხვებმა თავის დროზე საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული ძალოსნობის განვითარების საქმეში.

რა დასამალია და სპორტის ზოგიერთ სახეობას ჯერჯერობით საკმაოდ ჩამორჩება ქართული ძალოსნობა, ამის ნათელსაყოფად იმის გახსენებაც კმარა, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაზე ჩვენი სპორტსმენები XI ადგილს დასჯერდნენ. მიზეზი კი ალბათ ისიცაა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ბევრ რაიონში ჯერაც არ დანერგილა სპორტის ეს მეტად მიმზიდველი და საინტერესო სახეობა. ამ მხრივ მართლაც რომ მისაბაძნი არიან საჩხერელი ძალოსნები, რომელთაც „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს თავმჯდომარე თ. ლაშხი და სპორტის ოსტატი ე. დვალი წვრთნიან. დღეისათვის საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ორი საჩხერელი ძალოსანია შეყვანილი (ე. დვალი, ა. ჭიტაძე). საჩხერელმა ძალოსნებმა ცოტა ხნის წინათ კარგი საჩუქარი მიიღეს — მწყობრში ჩადგა ახალი დარბაზი, სადაც წელს, ნოემბერში რესპუბლიკის ჩემპიონატის გამართვაა დაგეგმილი, ეს კი ამ რაიონის ხელმძღვანელთა და სპორტის მესვეურთა მონდომებასა და ენთუზიაზმზე მეტყველებს.

თბილისში საკმაოდ კარგი დარბაზები აქვთ „ლოკომოტივსა" და „დინამოს", მაგრამ უნდა ითქვას, რომ ძალზე მცირეა აქ მომეცადინეთა რიცხვი...

რაიონში და სხვადასხვა ნებაყოფლობით საზოგადოებებში მომუშავე მწვრთნელთა შრომის შედეგები საბოლოოდ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში მჟღავნდება, რომელიც მონდომებით ემზადება საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის. გუნდმა (უფროსი მწვრთნელი შ. წერეთელი, მწვრთნელი რ. გურგენიძე) ამ დიდმნიშვნელოვანი ასპარეზობისთვის მზადება ჯერ კიდევ 1976 წლის ოქტომბრიდან დაიწყო და უნდა ითქვას, რომ ამ ხნის მანძილზე გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია, რაც გუნდის თითოეულ წევრთა მაჩვენებლების განუხრელ ზრდაში გამოიხატება.

ამჟამად ნაკრები თაობათა ცვლას განიცდის — გუნდში მოვიდნენ ახალგაზრდა, პერსპექტიული სპორტსმენები: ვ. ბალათურია, ა. ჭიტაძე, გ. თინაშვილი, ზ. მამულაშვილი, ზ. ნადირაშვილი და სხვები, რომელთა ასაკი 18-19 წელს არ აღემატება, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობა უკვე დიდ იმედებს ამყარებს მათზე. საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას ახალგაზრდებთან ერთად დაიცავენ ისეთი გამოცდილი სპორტსმენები, როგორიცაა მიუნჰენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონი დ. შანიძე, საქართველოს რეკორდსმენები დ. ხიზამბარელი, ე. დვალი და სხვები. ეს ოსტატები დიდ დახმარებას უწევენ მწვრთნელებს, დიტო შანიძე კი იმის საკმაოდ დამაჯერებელ მაგალითს აძლევს ახალგაზრდებს, თუ რა შეუძლია გულმოდგინე ვარჯიშს, საკუთარი საქმის ფანატიკურ სიყვარულსა და გამარჯვებისკენ სწრაფვას. დიტო გაისად, ხალხთა VII სპარტაკიადისათვის უკვე 41 წლისა იქნება, მაგრამ ნაკრების ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ეს ნაცადი მებრძოლი არც ამ ასპარეზობაზე შეირცხვენს თავს.

გუნდის მუშაობაზე ნათელ წარმოდგენას მოგვცემდა მწვრთნელთა მიერ შედგენილი გრაფიკი, მაგრამ რადგან საგაზეთო წერილში 20-კაციანი გუნდის სიის მოტანა უხერხულად მიგვაჩნია, მხოლოდ რამდენიმე სპორტსმენის შედეგთა დემონსტრაციით დავკმაყოფილდებით:

1. გ. სითათაშვილი (23 წ. „კოლმეურნე", სპორტის ოსტატი, 56 კგ). — 1977 წ. ორჭიდის ჯამში მოაგროვა 212,5 კგ (92,5+120); 1978 წ. — 232,5 კგ (100+ 132,5); 1979 წ. უნდა დაძლიოს 237,5 კგ (102,5 +135). 2. დ. შანიძე (40 წ. „გантიადი", სპორტის დამსახურებული ოსტატი, 60 კგ.) 1977 წ. — 260 კგ (115+145); 1978 წ. — 265 კგ (117,5+ 147,5); 1979 წ. — 272,5 კგ (120+152,5). 3. ზ. ნადირაშვილი (18 წ. „განთიადი", სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 110 კგ-ს ზემოთ). 1977 წ. — 312,5 კგ (132,5+180); 1978 წ. — 352,5 კგ (152,5+200); 1979 წ. — 370 კგ (160+210).

ეს ამონაწერი ნათლად გვიჩვენებს თუ როგორ იზრდება ამ სპორტსმენთა შედეგები წლიდან წლამდე. გუნდის მწვრთნელებს ხალხთა VII სპარტაკიადაზე VIII-X ადგილის მოპოვება აქვთ დაგეგმილი და წინა სპარტაკიადასთან შედარებით იგი მოკლე, მაგრამ მაინც წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ჩვენი ძალოსნებისთვის.

— ამ ერთი თვის წინ მივიღეთ რეზინის უხმაურო შტანგები და ჩვენი ძალოსნები ახლა სწორედ ამ იარაღით ვარჯიშობენ, — გვითხრა სახელმწიფო მწვრთნელმა ძალოსნობაში გიორგი გოდერძიშვილმა. — მისი უპირატესობა კი მართლაც რომ თვალსაჩინოა — ვარჯიშის პროცესში თითქმის სრულიად გაქრა ის აუტანელი ხმაური, რაც განსაკუთრებულად მოქმედებდა სპორტსმენებისა და მწვრთნელების ნერვულ სისტემაზე. ისეც რომ არ იყოს, ჩვენს ძალოსნებს სწორედ ასეთი იარაღით მოუხდებათ ასპარეზობა საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე, ასეთივე შტანგები იქნება მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზეც. ნაკრების მზადებაში გარკვეული ხარვეზებიც უნდა აღინიშნოს: ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ იმას, რომ გუნდის ყველა წევრმა დღეში ორჯერ, დილასაღამოს ივარჯიშოს. საჭიროა მეტი ყურადღება და პრინციპული მიდგომა ძალოსანთა სათანადო დატვირთვისადმი. ამასთან რესპუბლიკის ნაკრების წევრების მიმართ მეტი საქმიანი ურთიერთობა უნდა გამოიჩინოს სპეციალურად შექმნილმა კომპლექსურმა სამეცნიერო ჯგუფმა, რომელიც დღესდღეობით ნაკლებად გვეხმარება. ვერაფრით ვერ მოხერხდა ერთი ფინური აბანოს აშენება, რომელიც აუცილებელია წვრთნის ნორმალური პროცესისათვის...

ნაკრების წევრთაგან ცალკე აღნიშვნის ღირსია ახალგაზრდა, ძალზე პერსპექტიული ათლეტი ზ. ნადირაშვილი, რომელმაც წელს თელავში ჩატარებულ ჩიკვაიძის სახელობის პრიზის გათამაშებაში ახალგაზრდებს შორის რესპუბლიკის რეკორდი დაამყარა აკვრაში (201 კგ). გავიხსენოთ, რომ ამავე ასაკში ფენომენალურმა ძალოსანმა იური ვლასოვმა მხოლოდ 192 კგ დასძლია, თუმცა მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და შტანგის სიმძიმე კი სულ უფრო და უფრო მატულობს (1960 წელს რომის XVII ოლიმპიადაზე ვლასოვის მიერ აკრული 202 კგ ოლიმპიური რეკორდი გახლდათ!). სწორედ ამიტომ ახალგაზრდა სპორტსმენს უკიდურესად მონდომებული ვარჯიში მართებს, რათა ახლო მომავალშიც საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს საბჭოთა „მძიმეწონოსანთა" რიგებში. ამის შესაძლებლობა კი ზ. ნადირაშვილს უთუოდ გააჩნია.

საკმაოდ პერსპექტიული სპორტსმენები არიან გ. სითათაშვილი, ნ. პაპიძე, ა. ჭიტაძე, რ. ტონოგანიანი და სხვები. არ შეიძლება არ აღინიშნოს დ. ხიზამბარელი, რომელმაც თითქმის 15 წლის მონდომებული ვარჯიშის შემდეგ გააუმჯობესა საქართველოს რეკორდი და დაამტკიცა, რომ ძალოსნობაში 32 წლის ასაკშიც შეიძლება საკმაოდ მნიშვნელოვან წარმატებათა მოპოვება.

შეიძლება უფრო მეტი გველაპარაკა ნაკრები გუნდის სხვა წარმომადგენლებზეც, მაგრამ სპარტაკიადამდე მათ არაერთი მნიშვნელოვანი ასპარეზობა ელით და, როგორც იტყვიან, საქმემან შენმან გამოგაჩინოსო...

**ნ. ზაჭაიძე**

* * *

**სურათებზე:** გ. სითათაშვილი (მარცხნივ) და ზ. ნადირაშვილი ასპარეზობისას.

# სტადიონის მოლოდინში

ამ ათიოდე წლის წინათ ორხეველ ბიჭებს არჩევანი ჰქონდათ, სად ეთამაშათ ფეხბურთი — ორხევისა თუ სკოლის სტადიონზე. დაბას მაშინ გუნდიც ორი ჰყავდა, დასახლება გარდაბნის რაიონს ეკუთვნოდა და გუნდები სისტემატიურად გამოდიოდნენ რაიონის პირველობაზე.

სკოლის მაშინდელი ფიზკულტურის მასწავლებლები ვაჟა ნუცუბიძე და ვასილ მჭედლიშვილი ფეხბურთთან ერთად არც სპორტის სხვა სახეობებს ივიწყებდნენ და ამ ჭეშმარიტი ენთუზიასტების წყალობით დაბა სამგორის საშუალო სკოლის ფრენბურთელთა და კალათბურთელთა გუნდებს ხშირად თვალსაჩინო წარმატებებისთვისაც მიუღწევიათ.

გავიდა ხანი და ორხევის სტადიონი აეროპორტის შესანიშნავმა გზამ შეიწირა, სტადიონის გარდა იმავე გზის მშენებლობის გამო დაინგრა ერთადერთი კლუბი. ბიჭები ჯერ ეზოებს დაუბრუნდნენ, ხოლო შემდეგ სივრცეს შეჩვეულებმა ნელ-ნელა დათმეს ბურთი და, რადგან კლუბიც აღარ ჰქონდათ, ქუჩაში გადაინაცვლეს.

სულ მალე დასახლება თბილისს გადაეცა. ორხევში აშენდა თბილისის საქარხნო რაიკომისა და აღმასრულებელი კომიტეტის შენობა. დასახლება ერთიორად გაიზარდა, სპორტული ღონისძიებებისთვის კი მხოლოდ სკოლა-ინტერნატის მოედანილა დარჩა, თუმცა მასაც არ ეწერა დიდი ხნის არსებობა: მინდორზე ექსკავატორი შეგრუხუნდა, ცოტა ხანში იქაურობა ერთიანად გადათხარა და... წავიდა. დარჩა ერთმანეთისგან ასი მეტრით დაშორებული რკინის ძელები, ორმოები და უსწორმასწორო ბორცვები.

სულ ახლახან დასახლებაში საამი კეთილმოწყობილი, მარტივი ტიპის მოედანი აშენდა, გარშემო მავთულის მაღალი ღობე შემოავლეს, დადგეს კალათბურთის ფარები. გაკეთდა სასურველი და მისასალმებელი საქმე. ქუჩაში ბურთაობას შეჩვეულმა ბავშვებმა შვება იგრძნეს, მაგრამ რა დასამალია და ასფალტზე ფეხბურთის თამაში არც თუ ისე მოსახერხებელია. ფეხბურთის მოედანი კი უკვე რამდენიმე წელია აღარ აქვთ ორხეველებს, თუმცა სპორტის ამ სახეობისადმი სიყვარული ჯერაც არ განელებიათ. პატარები არ ღალატობენ უფროსთა ტრადიციას, ფეხბურთის სიყვარულით ვარკეთილის მასივში დადიან ვარჯიშზე. ისინი ცოტანი არ არიან და თუ იმათაც მივათვლით, ვისაც ამ სიშორე გზაზე მშობლები არ უშვებენ, იმდენი გამოვა, რომ ადგილზე წვრთნის შესაძლებლობისას რამდენიმე გუნდი მაინც შეიქმნებოდა. დროც დაიზოგებოდა და არც გაოფლილებს მოუხდებოდათ ავტობუსის ლოდინი...

**გ. პაპუაშვილი,**
**ვ. სამადაძე.**





ეროვნული ბიბლიოთეკა





# ყველაფერი თავისი რიგით მიდის

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 9 ივლისი.

„დინამო“ (თბილისი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 4:1 (3:0).

„დინამო“: გოგია (გაბელია), რუხაძე, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ჩელებაძე, შენგელია (გოგოლაძე).

„ზარია“: ტკაჩენკო, პინჩუკი, მალიგინი, იგნატენკო (კოლესნიკოვი), ოლენიოვი, ჟურავლიოვი, კუზნეცოვი, შევლიუკი, სოროკალეტი (მალიშენკო), კუკსოვი, რაბოჩი.

მსაჯი: ლ. აკსინევიჩი (მოსკოვი).

გოლები გაიტანეს შენგელიამ (30-ე წუთი), ქორიძემ (35-ე, 38-ე), გუცაევმა (50-ე), ჟურავლიოვმა (88-ე).

დუბლიორები — 4:1.

„ზარიას“ ამ მატჩამდე მხოლოდ სამი ფრე ჰქონდა და ბუნებრივია, ერთი ქულისათვის ზრუნვა ჩემპიონატის ლიდერთან არ გაემტყუნებოდა. თბილისელი მაყურებლისა და თვითონ „დინამოც“ სტუმართა ამ კონკრეტული ამოცანიდან გამომდინარე თამაშს ელოდა.

დამარცხება, ისიც დიდი ანგარიშით, როგორც წესი, საქებარი სიტყვის თქმის სურვილს იშვიათად ტოვებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ვოროშილოვგრადელმა ფეხბურთელებმა ერთი კომპლიმენტი უსათუოდ დაიმსახურეს. მართალია ოლენიოვიც, კუზნეცოვიც, შევლიუკიცა და კუკსოვიც ბევრს იხმარებოდნენ დაცვას (ეს დახმარება უფრო იძულებითი იყო), მაგრამ „ზარიამ“ მატჩი ფაქტიურად თხი მცველით ითამაშა. ამავე დროს უკრაინელ ფეხბურთელებს წინ გამუდმებით ჰყავდათ ორი ფორვარდი (პირველ ტაიმში — სოროკალეტი, რაბოჩი; მეორეში — კოლესნიკოვი, რაბოჩი). ისიც საქმელია, რომ სტუმრებს არც დროის გაჭიანურებაზე და არც უხეშობაზე არ უფიქრიათ. ეს ყველაფერი კარგი, ამგვარი გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, ყოველდღის მისასალმებელია, მაგრამ „ზარიას“ „დინამოსთან“ ერთ ენაზე საუბარი არ გამოუვიდა — უკრაინელთა დაცვამ სამი თბილისელი ფორვარდისა და ძალზე აქტიურად მოთამაშე ნახევარმცველის წინაშე ვერაფერი გააწყო. ოთხი გოლი და უამრავი საგოლე სიტუაცია სწორედ ამაზე ლაპარაკობს.

აქვე, ერთი საყვედური მაყურებელთა იმ ნაწილის მიმართ, ანგარიშით 4:0-ზე თავისი გუნდისაგან აგრესიულად თამაშს რომ ითხოვდა. რა თქმა უნდა, გამანადგურებელი ანგარიშით მოგება შთამბეჭდავია, მაგრამ ისიც ხომ სიმართლეა, რომ „ზარიასთან“ მატჩი სრულებითაც არ ყოფილა ჩემპიონატის ბოლო შეხვედრა. ორმოცგრადუსიან სიცხეში ენერგიის ფუჭად ხარჯვა კი შორსმაცქერალ გუნდს ბევრ ვერაფერ სამსახურს გაუწევს.

„დინამომ“ პირველ წრეში 23 ქულა მოაგროვა, სამით მეტი ვიდრე შარშან. ბევრისმთქმელი ფაქტია, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამ არის. შეიძლება ჯერ ნაადრევიც იყოს ამაზე დაბეჯითებით საუბარი, მაგრამ უკვე იგრძნობა, უკვე გამოიკვეთა იმის წანამძღვრები (განსაკუთრებით ბოლო სამ მატჩში), რომ გუნდის მწვრთნელებმა ძალთა განაწილების უფრო რაციონალური (და ალბათ, სწორიც) გზა ირჩიეს. შარშან შემოდგომის მიწურულს „დინამომ“ შესამჩნევად დათმო პოზიციები. თუ წლეულს ასეთი რამ არ განმეორდა, ის პირველყოვლისა კოლექტივის ხელმძღვანელობის დამსახურება იქნება. თბილისელებს არც რეზერვების თვალსაზრისით აქვთ გადაუჭრელი პრობლემები, ასე რომ დაურიდებლად შეგვიძლია ვთქვათ: ყველაფერი თავისი რიგით მიდის.

ი. ბერიაშვილი.

• • •

სურათებზე:

**მეორე გოლი.** მარჯვენა ფლანგზე სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს თბილისელებმა — დარასელია — ჩელებაძე — დარასელია. საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს მიუსწრო შენგელიამ. დარტყმა, ძელი! აქვე გაჩნდა ქორიძე და თავური დარტყმით ანგარიში ორამდე გაზარდა.

**მესამე გოლი:** ისევ ქორიძემ გამოიჩინა თავი. მცველებმა საჯარიმოს მისადგომებთან წააქციეს თბილისელი ნახევარმცველი. „დაზარალებულმა“ თვითონვე საკმაოდ ძლიერად, უნაკლოდ დაარტყა საჯარიმო — 3:0.

**გამარჯვება.** გოლი, გამარჯვება, სიხარული. დინამოელებმა ალყაში მოიქციეს ფეხბურთელი, რომლის დარტყმამ წერტილი დაუსვა კოლექტივის გარჯას.

ა. კოტორაშვილისა და მ. ზაგარიანის ფოტოები.

## უმაღლესი ლიგა

8 და 9 ივლისს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის XV ტურის შეხვედრები:

„ლოკომოტივი“ — „არარატი“ 2:1

„შახტიორი“ — „დნეპრი“ 1:1

„ნეფთჩი“ — „ჩერნომორეცი“ 0:0

„დინამო“ კ. — „ტორპედო“ 0:2

„ზენიტი“ — „ქაირატი“ 2:1

„დინამო“ მ. — ცსკა 1:2

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ თბ. | 15 | 10 | 3 | 2 | 22—11 | 23 |
| „ჩერნომორ“. | 15 | 8 | 5 | 2 | 23—10 | 21 |
| „შახტიორი“ | 13 | 9 | 1 | 3 | 17—9 | 19 |
| ცსკა | 15 | 8 | 2 | 5 | 18—18 | 18 |
| „დინამო“ კ. | 15 | 5 | 7 | 3 | 20—12 | 17 |
| „დინამო“ მ. | 14 | 6 | 4 | 4 | 18—13 | 16 |
| „ზენიტი“ | 15 | 5 | 6 | 4 | 18—19 | 16 |
| „ტორპედო“ | 15 | 5 | 5 | 5 | 17—14 | 15 |
| „ზარია“ | 15 | 5 | 3 | 7 | 18—20 | 13 |
| „ფახთაქორი“ | 15 | 4 | 5 | 6 | 22—21 | 13 |
| „ლოკომოტივი“ | 15 | 4 | 5 | 6 | 14—20 | 13 |
| „სპარტაკი“ | 14 | 5 | 2 | 7 | 19—21 | 12 |
| „ქაირათი“ | 15 | 4 | 4 | 7 | 14—22 | 12 |
| „ნეფთჩი“ | 15 | 4 | 4 | 7 | 11—15 | 12 |
| „დნეპრი“ | 15 | 3 | 2 | 10 | 12—22 | 8 |
| „არარატი“ | 15 | 3 | 2 | 10 | 7—23 | 8 |

●

### 1700!

9 ივლისის მატჩში ვოროშილოვგრადის „ზარიასთან“ ვ. ქორიძის პირველი გოლი (ამ მატჩში კი მეორე) 1700-ა თბილისის „დინამოს“ ანგარიშზე საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში.

თ. მიქელაძე.

# მომავალი ინჟინრების წარმატება

**წყალბურთი**

**ახლა** საქართველოს სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობით ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების საქმიანობა ერთი მთავარი მიზნისკენ — სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის უკეთ მომზადებისკენ არის მიპყრობილი. ამ ფორუმში ადრე დაკარგული პოზიციების დაბრუნებისთვის ზრუნვა ხანგრძლივ, შემოქმედებით შრომას მოითხოვს, ამიტომაც ყველა სახეობაში ასპარეზობანი, რა რანგისაც უნდა იყოს იგი, რესპუბლიკის ნაკრები გუნდის კანდიდატების შემოწმებასაც ისახავს მიზნად.

ასე იყო ამ დღეებში ქუთაისის „განთიადის“ აუზზე ჩატარებულ შეჯიბრებაშიც, რომელსაც წყალბურთში რესპუბლიკის თასის მფლობელი უნდა დაესახელებინა. გამარჯვებულ კოლექტივს საკავშირო თასის გათამაშებაში ჩაბმის უფლება ეძლეოდა. ცხადია, საქართველოს პირველი გუნდი — თბილისის „დინამო“ ამ ასპარეზობიდან თავისუფალი იყო, როგორც საკავშირო პირველობის უმაღლესი ლიგის ბინადარი, რომელსაც სათასო ტურნირში ადგილი ისეც გარანტირებული აქვს.

ქუთაისში თავი მოიყარეს ბათუმის „განთიადის“, თბილისის პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტების, ქუთაისის „განთიადისა“ და „დინამოს“ კოლექტივებმა. სოხუმის გუნდი საასპარეზოდ არ გამოცხადდა. სწორედ სოხუმელი წყალბურთელების მაგიერ დავუშვით ტურნირში ქუთაისის მეორე გუნდი „დინამო“.

როგორც ხედავთ, ჩვენი რესპუბლიკის წყალბურთის გეოგრაფია არც თუ ფართოა: საქართველოს ნაკრები მხოლოდ სამი ქალაქის იმედზე უნდა იყოს, მთავარ შევსებას კი იგი მაინც თბილისიდან და ქუთაისიდან იღებს.

რესპუბლიკის თასისთვის გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ქუთაისის „განთიადის“ კოლექტივები. მომავალ ინჟინერთა გუნდმა (მწვრთნელი სპორტის ოსტატი ი. ჩხიკვაძე) ეს მატჩიც მოიგო (5:3) და ჯილდოს დაეუფლა.

რაკი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის წარმატებაზე ვლაპარაკობთ, ბარემ ვიტყვით რომ გამარჯვება შემთხვევითი არ ყოფილა. სპი-ს კოლექტივი ფაქტიურად ჩვენი რესპუბლიკის მეორე გუნდია, რომელსაც საკავშირო ტურნირებში მონაწილეობის საკმაო გამოცდილებაც აქვს. მაგრამ როგორც ყველგან, ამ კოლექტივშიც იყო თაობათა ცვლა და თბილისის „ბურევესტნიკმა“ (სპი საკავშირო სარბიელზე ამ სახელით გამოდის) პოზიციები ერთგვარად დათმო.

ამჟამად პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის (გამგე სპორტის ოსტატი ჯ. ბაგრატიონი) ზრუნვითა და ინსტიტუტის რექტორატის დახმარებით მნიშვნელოვანი ღონისძიებანი დაისახა დაკარგული პოზიციების აღსადგენად. კოლექტივის გაძლიერებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ აქ მწყობრში ჩადგა ინსტიტუტის საცურაო აუზი, რამაც წყალბურთელთა წვრთნის პრობლემა გადაჭრა. სათანადო ყურადღება ეთმობა გუნდის ნიჭიერი ახალგაზრდებით შევსებას. ახალი სასწავლო წლიდან იგი ალბათ რამდენიმე პერსპექტიულ სპორტსმენს კიდევ მიიღებს და უნდა ვივარაუდოთ, რომ „ბურევესტნიკი“ საკავშირო პირველობის I ლიგაში ადგილს დაიბრუნებს, ეს კი ასე აუცილებელია სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის მოსამზადებლად.

საქართველოს თასის მფლობელის — პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის ცურვითი მომზადება უკვე აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. კოლექტივის მონოლითურობა შემდგომი წარმატების საუკეთესო გარანტიაა, მაგრამ აქვს ნაკლიც: გუნდის ზოგიერთ ტაქტიკურ ნახაზს დახვეწა აკლია და, რაც მთავარია, იგრძნობა წყალბურთელთა სათამაშო გამოცდილების უკმარობა, ამას კი სტუდენტები მხოლოდ საკავშირო სარბიელზე თუ შეავსებენ. დღეს გუნდს უკვე ჰყავს სტუდენტი-წყალბურთელები, რომლებიც საქართველოს ნაკრების კანდიდატებად ითვლებიან (მ. მაჩაბელი და ი. ბიჭიაშვილი), მაგრამ ვფიქრობთ, გუნდის ხელმძღვანელობა ამით არ დაკმაყოფილდება.

უდაოდ საქებია ფინალისტი — ქუთაისის „განთიადი“. რესპუბლიკისთვის ქუთაისს ადრეც არაერთი ნიჭიერი წყალბურთელი მოუცია (ბოლო ორი წლის მანძილზე ნაკრებს ხუთი კანდიდატი ალუზარდა). ახლა გ. კოღუაშვილი და მ. გიორგაძე ნაკრების რეალური წევრები არიან, მ. კუჭავა კანდიდატი გახლავთ. მეკარე მ. გიორგაძე სსრ კავშირის ნაკრებშიც მიიწვიეს. თუ აღნიშნულს იმასაც დავუმატებთ, რომ მოსწავლეთა რესპუბლიკურ ნაკრებში, რომელიც ტაშკენტის საკავშირო სპარტაკიადისთვის ემზადება, ორი ქუთაისელია (გ. ტურაბელიძე და ზ. გორგოძე), სურათი უფრო ნათელი იქნება.

ქუთაისში სპორტის ამ სახეობაში მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, ყველა პრობლემა გადაჭრილი რომ იყოს: აუზზე განათება აშკარად არ კმარა, ცხელი შხაპი არ აქვთ...

თასის გათამაშებაში III ადგილზე გავიდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი. მომდევნო ადგილები ერგოთ ბათუმის „განთიადსა“ და ქუთაისის „დინამოს“.

ტურნირი კარგად იყო ორგანიზებული.

ვსარგებლობ შემთხვევით და სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს უნდა მოვაგონო საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიის გადაწყვეტილება, რომელიც მათ წყალბურთში ბავშვთა სპეციალური ჯგუფების გახსნას ავალებს, „დინამოს“ კი, როგორც უმაღლესი ლიგის გუნდს, ბავშვთა სპორტსკოლა ან განყოფილება მაინც უნდა ჰქონდეს. მაგრამ არც „დინამოს“, არც „შრომითი რეზერვებს“ დადგენილების შესრულებისთვის არ უზრუნიათ. თბილისში და რუსთავში ჯგუფები არც „განთიადს“ აქვს.

საქართველოს ნაკრები, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის ვ. სანაძის ხელმძღვანელობით ემზადება, ძირითადად „დინამოს“ ბაზაზეა შექმნილი და საკმაოდ ახალგაზრდულია. საქართველოს სპორტკომიტეტი გუნდს ზრუნვას არ აკლებს. ახლა „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ვალია ნაკრებს წვრთნისთვის საჭირო ყველა პირობა შეუქმნას.

მ. ქართველიშვილი,

საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი წყალბურთსა და წყალში ხტომაში.

## პირველი ლიგა

**გაიმართა** I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების 2 მატჩი. ვილნიუსის „ჟალგირისმა“ ანგარიშით 1:0 მოუგო დუშანბეს „პამირს“, ხოლო მინსკის „დინამომ“ — აშხაბადის „კოლხოზჩის“ — 2:0.

# თასი — „იმერეთს“

**შედგა** სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ თასის ფინალური მატჩი ფეხბურთში, რომელიც სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. ჟორდანიას ხსოვნისადმია მიძღვნილი. ერთმანეთს შეხვდნენ წულუკიძის „იმერეთი“ და ჩოხატაურის „ბახმარო“.

საპატიო პრიზი წილად ხვდა „იმერეთს“, რომელმაც გაიმარჯვა ანგარიშით 4:2.



### რენსენბრინკი სამშობლოში ბრუნდება

როგორც ცნობილმა ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა რენსენბრინკმა განაცხადა, მან აღარ განაახლა ხელშეკრულება ბელგიის მრავალგზის ჩემპიონ „ანდერლეხტთან“, სადაც რამდენიმე წლის განმავლობაში გამოდიოდა.

1978-79 წლების სეზონიდან რენსენბრინკი ჰოლანდიის „ალკმაარში“ ითამაშებს.

### მაიერი — პირველ ადგილზე

ყველაზე მეტი მატჩი მსოფლიო პირველობებზე ჩატარებული ჰქონდა განთქმულ მექსიკელ მეკარეს კარბახალს — 16. ამიერიდან მისი რეკორდი მოხსნა მაიერმა (გფრ), რომელსაც ამ დონეზე 18 მატჩი აქვს ჩატარებული.

### დირსეუ — „ვალენსიაში“

ცნობილი ბრაზილიელი ნახევარმცველი დირსეუ, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის შედეგების თანახმად აღიარებულ იქნა № 3 ფეხბურთელად (კემპესისა და როსის შემდეგ) და დაჯილდოვდა „ბრინჯაოს ბურთით“, ამიერიდან ესპანეთის პირველი ლიგის კლუბ „ვალენსიაში“ გამოვა.

ამრიგად, კემპესი და დირსეუ ერთ კლუბში ითამაშებენ.

### გადასვლები, გადასვლები...

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ფეხბურთელთა გაცხოველებული ყიდვა-გაყიდვაა. დ. ჯონსტონი, შოტლანდიის ჩემპიონ „გლაზგო რეინჯერსის“ უძლიერესი თავდამსხმელი, ამიერიდან ლონდონის „არსენალში“ გამოვა. საფრანგეთის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი ლაკომბი „ლიონიდან“ გადავიდა „სენტ-ეტიენში“. კროიცი, ავსტრიის ნაკრების ფეხბურთელი, რომელიც აქამდე როტერდამის „სპარტაში“ თამაშობდა, ახლა გადავიდა სარაგოსის „რეალში“ (ესპანეთი).

არგენტინის ნაკრების თავდამსხმელი ბერტონი, რომელიც ბუენოს-აირესის „ინდეპენდიენტეში“ თამაშობდა, ესპანეთის „სევილიაში“ ჩაირიცხა.

**ფეხბურთი**




# ახალ სარბიელზე

**გურჯაანის** ახალ სპორტულ დარბაზში დაიწყო საქართველოს პირველობა კალათბურთში „ა" კლასის ქალთა და ვაჟთა გუნდებისათვის.

შეჯიბრება 14 ივლისამდე გასტანს. ჩემპიონის სახელისთვის ერთმანეთს შეეცილებიან: ვაჟები — „დინამო" (თბილისი), „ბურევესტნიკი", „დინამო" (ახალგაზრდული), ფიზკულტურის ინსტიტუტის, უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები, საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისისა და გურჯაანის ნაკრები კოლექტივები. ქალები — პოლიტექნიკური ინსტიტუტი, უნივერსიტეტი, ფიზკულტურის ინსტიტუტი, თბილისის ახალგაზრდული ნაკრები, ქუთაისისა და აჭარის გუნდები. ეს იქნება პირველი წრის შეხვედრები. მეორე წრე ნოემბრის თვეში ბათუმში გაიმართება.

მოეწყო პირველი შეხვედრები:

**ვაჟები:** „დინამო" (თბილისი) — საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები 87:59, აფხაზეთი — „დინამო" (ახალგაზრდული) 72:70, ფიზკულტურის ინსტიტუტი — აჭარა 62:29.

**ქალები:** უნივერსიტეტი — აჭარა 45:24, ფიზკულტურის ინსტიტუტი — ქუთაისი 77:47, პოლიტექნიკური ინსტიტუტი — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები 73:44.

• • •

**სურათებზე:** ქუთაისისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელთა შეხვედრა; გურჯაანისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის მატჩის (ვაჟები) მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

# სად გაქრნენ ამერიკელი სუპერ-ძალოსნები?

**ამ სიტყვების** ავტორს არაერთხელ უსაუბრია ამერიკელ მწვრთნელებთან და ძალოსნებთან აშშ-ში ძალოსნობის დეგრადაციის თაობაზე. მართლაცდა უკვე 20 წელია, რაც ამერიკელები არ ჩანან მსოფლიო პირველობებსა და ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულთა შორის, არა ჰყავთ მსოფლიო რეკორდსმენები. არადა, კარგადაა ცნობილი წარსულში ამერიკელ ძალოსანთა ბრწყინვალე გამოსვლები. მაგალითად, 1947 წელს მათ ყველა წონით კატეგორიაში გაიმარჯვეს ფილადელფიის მსოფლიო ჩემპიონატში. XV ოლიმპიურ თამაშებში ამერიკელმა ძალოსნებმა ოთხი ოქროს მედალი მოიპოვეს (ტ. კონო, პ. ჯორჯი. ნ. შემანსკი, ჯ. დევისი), XVI ოლიმპიურ თამაშებში მოიგეს არაოფიციალური გუნდური პირველობა. („ოქრო" მოიპოვეს ჩ. ვინჩიმ, ი. ბერგერმა, ტ. კონომ, პ. ანდერსონმა). ყველას ახსოვს „რკინისებური ჰავაიელის" კონოს მიღწევები, „სუპერმენ" ანდერსონის რეკორდები, რომელმაც პირველმა გადააჭარბა 500-კილოგრამიან ზღვარს სამჭიდში, საბჭოთა და ამერიკელი სპორტსმენების მძაფრი ორთაბრძოლები. 1960 წლამდე ამერიკის ნაკრები მსოფლიო ძალოსნობის ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდა.

თუ XVII ოლიმპიურ თამაშებში აშშ-ის ათლეტებმა შეძლეს ერთი ოქროს მედლის მოპოვება, შემდგომ ოლიმპიადებში მათ ამის მიღწევაც ვერ მოახერხეს.

მსოფლიო ფიცარნაგზე ლიდერობა მტკიცედ დაიპყრეს სოციალისტური ქვეყნების ათლეტებმა. 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში მათ 9-დან 8 ოქროს მედალი დაისაკუთრეს, 1976 წელს მონრეალში — ცხრავე. მიუთითებდა რა ამ ფაქტზე, დიდი ბრიტანეთის ნაკრების მწვრთნელი ჯ. ლირი წერდა, რომ ეს მიღწევები კანონზომიერია იმ ქვეყნებისთვის, სადაც მთავრობა შესაფერის ყურადღებას აქცევს სპორტის მასობრიობას. თავის დროზე კონო ხაზგასმით ამბობდა: „ომის შემდგომ წლებში ამერიკის ძალოსნობის მიღწევები ზედმეტად არ უნდა შევაფასოთ, რამდენადაც ამ პერიოდში ევროპის ქვეყნები მეორე მსოფლიო ომის ჭრილობებს იშუშებდნენ".

და მაინც, არც ისე ხშირად ხდება სპორტში, რომ ქვეყანა, რომელიც წლების განმავლობაში მსოფლიო სარბიელზე ბრწყინავდა, „უკვალოდ გაქრა".

ძირითადი მიზეზი ისაა, რომ აშშ-ის თანამედროვე ძალოსნობა „გაჭყლიტა" პროფესიულმა სპორტმა. ახალგაზრდობა ეტანება პროფესიულ კრივს, კალათბურთს, ბეისბოლს.

ერთ დროს ზოგიერთი სასოწარკვეთილი ენთუზიასტი ცდილობდა ძალოსნობაში მიეზიდა ჟოკეები, იმ იმედით, რომ მათგან სწრაფად „გააკეთებდნენ" ჩემპიონებს ყველაზე მსუბუქ წონით კატეგორიაში. მაგრამ... ჟოკეებმა არ მოისურვეს რეალური ფულების გაცვლა ჩემპიონთა პოტენციალურ დიდებაზე.

აშშ-ში სპორტი უპირველეს ყოვლისა, ბიზნესია და საქმოსნებისთვის — მომგებიანი საქმე. სწორედ ისინი კარნახობენ თავიანთ პირობებს. ტყუილად კი არ არის, რომ ქვეყანაში მეტი ყურადღება ექცევა სამოყვარულო სპორტის იმ სახეობებს, რომლებიც მომარაგებენ პროფესიონალებს. ოლიმპიურ თამაშებში ამერიკელი კალათბურთელებისა და მოკრივეების ტრადიციული გამარჯვებები მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული იმასთან, რომ ამ სპორტსმენებით დაინტერესებული არიან პროფესიული სპორტის სელექციონერები. საერთოდ ბევრ მოყვარულს ოლიმპიური სარბიელი პროფესიულ სპორტში გადასვლის ტრამპლინად მიაჩნია.

ძალოსნობაში „მომიჯნავე" პროფესიული სახეობები არ არის. მართალია აშშ-ში აღმავლობას განიცდის პროფესიული კულტურიზმი (ბოდი-ბილდინგი) და ძალისმიერი სამჭიდი, მაგრამ მათ ახალგაზრდობის ყურადღება გადააქვთ კლასიკური ძალოსნობიდან, ვინაიდან იქ საჭირო არ არის განსაკუთრებული ფიზიკური ძალის და მით უმეტეს, ტექნიკის განვითარება.

თუ კულტურისტების შოუ ფართოდ რეკლამირებულია, ეს არ ითქმის ძალოსნობაზე. პოპულარულ სპორტულ გამოცემებში დიდი ადგილი ეთმობა სპორტის პროფესიულ სახეობებს.

ერთ წერტილზე გაყინვის კიდევ ერთი-ერთი მიზეზი ისაა, რომ წარსულში გამოჩენილი ძალოსნებიდან მხოლოდ თითო-ოროლა თუ მუშაობს ახალგაზრდებთან. ამჟამად მწვრთნელად მუშაობენ ტ. კონო და ნ. შემანსკი. პ. ანდერსონი, რომელიც ხელმძღვანელობს ავადმყოფ ბავშვთა სკოლას, პროპაგანდას უწევს ძალოსნობას იმით, რომ ხანდახან აწყობს საჩვენებელ გამოსვლებს. ტყუილად კი არ გაოცდნენ ამერიკელი ძალოსნები ახლახან მოსკოვში მეგობრობის თასის გათამაშებაში, ფიცარნაგზე ძალოსნობის ნამდვილი „ცოცხალი" ისტორიის — ი. ვლასოვის, ლ. ჟაბოტინსკის, ა. მედვედევის, ა. ვორობიოვის, ვ. კურენცოვისა და სხვათა ხილვით.

არ შეიძლება იმისი მტკიცება, რომ აშშ-ში არაფერი კეთდება ძალოსნობის აღორძინებისთვის. ყურადღებით სწავლობენ სოციალისტური ქვეყნების, განსაკუთრებით სსრ კავშირისა და ბულგარეთის გამოცდილებას, სრულყოფენ წვრთნის მეთოდიკას, დიდი მუშაობა ტარდება ახალგაზრდობის მისაზიდად. ამის დადასტურებაა მონრეალის ოლიმპიადაში ლი ჯეიმსის წარმატება, შტუტგარტის მსოფლიო ჩემპიონატში მ. კამერონის და ბ. ვილჰელმის წარმატებით გამოსვლები.

უეჭველია, რომ ამერიკელები ეცდებიან ოლიმპიადა-80-ისთვის ძალოსანთა ძლიერი გუნდის შექმნას. ქვეყანაში ძალოსნობის პოპულარიზაციის კარგი საშუალებაა ამერიკის ქალაქ გიოტინსბერგში 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მოწყობა. (საკდესი).

## ფეხბურთი

### ასე ჩაეყარა საფუძველი

აგერ უკვე სამი წელია, რაც ჰოლანდიის ქ. სტალვიკის მოყვარულ მოკრივეთა გუნდი ზედიზედ იმარჯვებს ქვეყნის გუნდურ პირველობაზე. ამ გუნდის ხელმძღვანელმა წარმატებები ასეთნაირად ახსნა:

— ჩვენი ნაკრების დაარსებას თავისებური ისტორია აქვს. მას შემდეგ, რაც ადგილობრივ დუქანში აყალმაყალმა იმატა, მედუქნემ გადაწყვიტა სპეციალური რინგის შექმნა, სადაც „დაინტერესებული პირები" შეძლებდნენ „ურთიერთობის გარკვევას" ისე, რომ სხვებს ხელს არ შეუშლიდნენ. ჩვენც ეს გვინდოდა — ამ გარემოებით ვისარგებლეთ და კრივიც სათანადო აგიტაციის შედეგად ჩვენს ქალაქში მეტად პოპულარული გახდა.

### პროფილაქტიკური მოსაზრებით

ქ. ნიურნბერგში (გფრ) ფეხბურთის მატჩი მიმდინარეობდა ადგილობრივ და ქ. ბაიროიტის გუნდებს შორის. როცა მსაჯმა მასპინძლების კარში 11-მეტრიანი დანიშნა, მინდორზე შემოიჭრა 57 წლის ქალი და მსაჯს ქოლგა დაარტყა. პოლიციამ მყისვე დააპატიმრა ეს „აგრესორი", რომელმაც დაკითხვისას შემდეგი განაცხადა:

— მას შემდეგ, რაც მსაჯმა ჩვენი გუნდის კარში უსაფუძვლოდ დანიშნა 11-მეტრიანი დარტყმა, მე ძალიან შევშინდი, ჩემი შვილი მინდორზე არ შემოჭრილიყო და სასტიკად არ დაესახიჩრებინა მსაჯი. წმინდა პროფილაქტიკური თვალსაზრისით მოვიქეცი ასე. ეს რომ ჩემს შვილს გაეკეთებინა, მსაჯისთვის ვაცილებით უარესი იქნებოდა. ჩემი ბიჭი — რობერტ მარკვისტი ხომ ნიურნბერგის ჩემპიონი გახლავთ კრივში.

# ტალინის ინტერნაციონალური

**600-ზე მეტი** სტუდენტი ატარებს შრომით სემესტრს ტალინის ოლიმპიური ობიექტების მშენებლობაზე. მათთან ერთად მუშაობენ მეგობრები რუსეთის ფედერაციიდან, უნგრეთიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან.

ჭაბუკები და ქალიშვილები აგებენ ჩქაროსნულ ავტომაგისტრალს, რომელიც ტალინის ცენტრს პირიტის ოლიმპიურ კომპლექსთან შეაერთებს. ისინი დასაქმებულნი არიან, აგრეთვე ოლიმპიური სოფლის, კულტურისა და სპორტის სასახლის მშენებლობაში, რომელიც რეგატის დასაწყისისთვის გაიხსნება ფინეთის ყურის ნაპირას. სტუდენტ ახალგაზრდობას ხელმძღვანელობენ მათი ტოლები — ტალინის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო სპეციალობების ბოლო კურსის სტუდენტები. (საკდესი).

## ველოსპორტი

**ტალინის** ველოტრეკზე დამთავრდა მეექვსე საერთაშორისო ტრადიციული შეჯიბრება „ტალინის დიდ პრიზზე". მთავარი ჯილდო მოიგო საბჭოთა ნაკრებმა, რომელმაც 4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში 4.33,68 აჩვენა და გააუმჯობესა 1972 წელს გფრ-ის „კვარტეტის" მიერ დამყარებული რეკორდი (4.34,24).

გამარჯვებულ გუნდში გამოდიოდნენ ლენინგრადელი ვ. ოსოკინი, ალმაათელი ვ. ერლიხი, ტულელი ი. პელიპენკო და აშხაბადელი ა. ილარიონოვი. მეორე ადგილზე გამოვიდა სსრ კავშირის მეორე ნაკრები — 4.34,82, მესამეზე — გფრ-ის გუნდი, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონები პ. ვონჰოფი და ი. კოლომბო გამოდიოდნენ — 4.38,28.

## მძლეოსნობა

**ორ თვეზე** მცირე დრო დარჩა ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატამდე. ახლა ყველა დიდი შეჯიბრება მომავლის სტარტებისთვის მზადყოფნის შემოწმებას ეთმობა.

ამას წინათ **სტრაგოვის** სტადიონზე გამართულ საერთაშორისო ტურნირში მასპინძელმა ფიბინგეროვამ (ჩეხოსლოვაკია) ბირთვი 20,68 მეტრზე ჰკრა, ხოლო ენგელის (გდრ) ბადრო 63,14 მეტრზე დაეცა. 100 მეტრზე თარჯრბენში ბეიერმა (გდრ, 13,36) ლიტოვჩენკოს (სსრ კავშირი) ფინიშთან [illegible] ლოდ 0,02 წამით მიასწრო.

**სტოკჰოლმში** გამართულ საერთაშორისო ტურნირზე თ. ვესინგჰაგემ (გფრ) ერთ მილზე რბენაში ევროპის რეკორდი დაამყარა — 3.52,5. 100 და 200 მეტრზე რბენა მოიგო ედვარდსმა (აშშ) — 10,34 და 20,43. 10000 მეტრზე შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა იაპონელმა სეკომ — 27.51,6. ულემანმა, რომელსაც ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლის მთავარ პრეტენდენტად მიიჩნევენ, სეკოსთან 0,5 წამი წააგო. ჭოკით ხტომაში ფინელმა კალიომაკიმ და პოლონელმა კოზაკევიჩმა ერთნაირი შედეგი (545 სმ) აჩვენეს. პირველობა ფინელს დარჩა. მსოფლიო რეკორდსმენმა ამერიკელმა უილკინსმა აქ ბადროს ტყორცნაში გაიმარჯვა — 65,34. ქალთა მაჩვენებლებიდან აღსანიშნავია ამერიკელ ანდერსონის გამარჯვება სიგრძეზე ხტომაში — 653 სმ და მეიფერტისა (გფრ) სიმაღლეზე ხტომაში — 192.

მერე მონაწილეებმა **გეტებორგში** იასპარეზეს. აქ კოზაკევიჩმა დამაჯერებელი რევანში აიღო — ჭოკით 555 სმ სიმაღლეზე გადახტა. შმიდტის (გდრ) ბადრომ 67,94 მეტრი იფრინა.

**დიუსელდორფში** 200 მეტრზე იამაიკელმა ქვორიმ (20,35) 0,18 წამით ჩამოიტოვა ამერიკელები უილიამსი და სენფორდი, რომლებიც ფინიშთან ერთად მივიდნენ. რიმის (გფრ) შუბი 78,86 მეტრზე დაეცა. ქალთა შორის 100 მეტრზე რბენაში ოლსნერმა (გდრ) ისევ მაღალი შედეგით — 11,19 გაიმარჯვა, ხოლო 200 მეტრზე ბადალი არ ჰყავდა შევინსკას (პოლონეთი) — 22,9. 400 მეტრზე თარჯრბენში მისმა თანამემამულემ კასპერჩაკმა თავისი ქვეყნის რეკორდი დაამყარა — 55, 96.

დანიის ქალაქ **ორჰუსში** თბილისელებისთვის ნაცნობმა რუმინელმა ქალმა მარეშესკუმ 3000 მეტრზე რბენაში ეროვნული რეკორდი გააუმჯობესა — 8.37,62.

## ჭადრაკი

**ბანიალუკა** (იუგოსლავია) მ[illegible] ისად აპრილში აღნიშნავს ფაშ[illegible] დამპყრობლებისგან განთავისუფ[illegible] ების 25 წლისთავს. ქალაქის მეს[illegible] ურნი ამ თარიღს უკავშირებ[illegible] დიდოსტატთა საერთაშორისო ტ[illegible] რნირს, რომელიც ფიდე-ს კვა[illegible] ფიკაციით მე-12 ან მე-13 კატეგო[illegible] იისა იქნება. იგი 1-28 აპრი[illegible] ჩატარდება.

მასპინძლებმა გამოაცხადეს ძ[illegible] ითად მონაწილეთა სია, რომ[illegible] თა შორის არიან ა. კარპოვი, [illegible] სპასკი, მ. ტალი, ლ. პორტ[illegible] ვ. ჰორტი, ი. ტიმანი, ს. გლიგ[illegible] იჩი, ლ. ლიუბოევიჩი, ა. მატან[illegible] იჩი, ბ. ივკოვი და სხვები.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-68-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-[illegible] მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-66; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; შემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. — უე 07[illegible]